ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელათა თანამდებობრივი კუთვნილების დადგენის მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 7 ივნისის # 50/ 133 ბრძანებით შექმნილი ჯგუფის მიერ შედგენილი

ოქმი #1

დაბა ხარაგაული 2017 წლის 8-ივისი

„პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის #215 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის შესაბამისად ჯგუფმა შემადგენლობით

ა) ლენა კალანდაძე -საკრებულოს აპარატის უფროსი,

ბ) ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

გ) ხათუნა გურგენიძე - მთავარი სპეციალისტი ორგანიზაციულ საკითხებში,

შევისწავლეთ საკრებულოს აპარატის მოხელეთა თანამდებობების იერარქიულ რანგებში განაწილების საკითხი. საკრებულოს აპარატის თითოეულ მოხელეთა საქმიანობის სფეროს მიკუთვნებულ ფუნქციათა შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე დადგენილ იქნა შემდეგი:

ა) საკრებულოს აპარატის უფროსის ლენა კალანდაძის დაკავებული თანამდებობა შეესაბამება პირველი რანგის მოხელის თანამდებობას.

ბ) საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტის იურიდიულ საკითხებში ზაალ ორბელაძის მიერ დაკავებული თანამდებობა შეესაბამება მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობას.

გ) საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტის ორგანიზაციულ საკითხებში ხათუნა გურგენიძის მიერ დაკავებული თანამდებობა შეესაბამება მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობას.

დ) საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტის საქმის წარმოების საკითხებში მარინა კვინიკაძის მიერ დაკავებული თანამდებობა შეესაბამება მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტისთანამდებობას.

ე) საკრებულოს აპარატის წამყვანი სპეციალისტის ტექნიკურური უზრუნველყოფის საკითხებში გოჩა კაციტაძის მიერ დაკავებული თანამდებობა შეესაბამება მესამე რანგის მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობას.

ვ) საკრებულოს აპარატის წამყვანი სპეციალისტის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში არსებული ვაკანტური თანამდებობა შეესაბამება მესამე რანგის მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობას.

ოქმი შემდგომი რეაგირებისათვის წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს მანანა ბარბაქაძეს.

ოქმი შევადგინეთ და ხელს ვაწერთ:

საკრებულოს აპარატის უფროსი ლ. კალანდაძე

მთავარი სპეციალისტი იურიდიულ

საკითხებში ზ. ორბელაძე

მთავარი სპეციალისტი ორგანიზაციულ

საკითხებში ხ. გურგენიძე